

მდინარეთა სანაპიროს ცალკეული უბნების გამორეცხვის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დონის რისკების შეფასება

დავით კერესელიძე, ვაჟა ტრაპაიძე

ელ.ფოსტა: davit.kereselidze@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,*

ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

წყალმოვარდნებსა და ღვარცოფებს უმრავლეს შემთხვევაში ახასიათებს პროცესის მოულოდნელობა და მისი უეცარი განვითარებისას ყოველთვის ვერ ხერხდება დროულად ჩატარდეს შესაბამისი გაზომვითი სამუშაოები, გარდა ამისა ისინი ხასიათდებიან საკვლევი მოვლენების დიდი დიაპაზონით (სეზონური დაკვირვებები - წელიწადში ერთხელ, კატასტროფული მოვლენების შემთხვევაში კი - ათწლეულების მანძილზე ერთხელ). მდინარეთა სანაპიროს ცალკეული უბნების გამორეცხვის და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა დონის რისკების ანალიზსა და შეფასებაში მნიშვნელოვანია ალბათობის თეორიის გამოყენება, რასაც ართულებს სტატისტიკური მონაცემების სიმცირე და როგორც შედეგი, შესაბამისი ალბათური მოდელის არაადეკვატურობა მიმდინარე რეალურ პროცესებთან მიმართებაში. ნათქვამიდან გამომდინარე არსებითად იზრდება საკვლევი შემთხვევითი პროცესების პარამეტრების შეფასების როლი, ისეთი მეთოდებით, რომლებიც ითვალისწინებენ საწყისი სტატისტიკური მონაცემების შეზღუდულობას. უცნობი პარამეტრების წერტილოვან შეფასებასთან (შეფასება ერთ რიცხვში) ერთად ეს მეთოდები საშუალებას იძლევიან განისაზღვროს თუ როგორი ალბათობით (ნდობის ალბათობით) ხვდება შემთხვევით პროცესის მახასიათებელი ესა თუ ის პარამეტრი, მნიშვნელობათა რაღაც ინტერვალის (ნდობის ინტერვალი) საზღვრებში. წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია ამ ამოცანის ამოხსნა მდინარეთა სანაპიროს ცალკეული უბნების გამორეცხვისათვის

საქართველოს მდინარეთა ცალკეული კვეთებისათვის დადგენილ (დაზუსტებულ) იქნა მაქსიმალური ხარჯების სავარაუდო მნიშვნელობები. მასთან დაკავშირებული რისკების გამოსავლენად ყურადღება მიექცა ე.წ. წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტებს. წყალმოვარდნული აქტივობის კოეფიციენტებისა და ვირტუალური მაგალითების ამოხსნამ შესაძლებლობა მოგვცა გამოვლენილიყო მდინარეთა უბნები რომლებიც შედარებით მაღალი რისკის მატარებელია